ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი მემარჯვენეები საქართველოს მომავლისათვის

12



## ვახტანგ ხმალაძე

კეთილდღეობა სამშობლოსთან ერთად
და არა სამშობლოს ხარჯზე

2 ნოემბერს

ხმა მიეცით გუნდს,
რომლის მოსვლით ქვეყანაში ძირეულად
შეიცვლება ხელისუფლება და რომელიც შეძლებს საქართველოს
მოსახლეობისათვის ასეულათასობით ახალი სამუშაო ადგილის შექმნას.

განახლების
აღმშენებლობის
დასაქმების

900 დღე

www.axlebi.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვახტანგ ხმალაძე

**პარლამენტის წევრობის კანდიდატი მთაწმინდის საარჩევნო ოლქიდან**



*მე მწამს, რომ*

- ადამიანის სრულყოფილად განვითარება, ღირსეულად ცხოვრება და კეთილდღეობის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ სამშობლოში, სამშობლოსთან ერთად და არა სამშობლოს ხარჯზე
- ამის აუცილებელი პირობა დამოუკიდებელი და ძლიერი სახელმწიფოა, რომლის შექმნა და შენარჩუნება მხოლოდ თავისუფალ ადამიანებს შეუძლიათ, ადამიანებს, რომლებიც იცავენ თავის თავისუფლებასა და ღირსებას და პატივს სცემენ სხვისას
- ჩვენ, საქართველოს მოქალაქეებს, გვინდა და შეგვიძლია ასეთი სახელმწიფოს შექმნა
- შეგვიძლია ხელისუფლებას ჩამოვაშოროთ უპასუხისმგებლო, უვიცი თუ კორუმპირებული პირები
- შეგვიძლია შევინარჩუნოთ და განვავითაროთ ქართული თვითმყოფადი კულტურა და იმავდროულად ვეზიაროთ მსოფლიო კულტურის მიღწევებს.

ვახტანგ ხმალაძე დაიბადა თბილისში, 1947 წელს. მთელი ცხოვრება სოლოლაკში გაატარა. იქვე ოქროს მედლით დაამთავრა 39-ე საშუალო სკოლა, 1969 წელს წარჩინებით – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი, 1972 წელს – ასპირანტურა. 1993 წლამდე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. კითხულობდა ლექციების სპეციალურ კურსს ფიზიკის ფაკულტეტზე. ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის დაუსწრებელ სკოლასა და ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს საშეფო სამუშაოებს მესხეთისა და საინგილოს სკოლებში. არის ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი. გამოქვეყნებული აქვს ოცამდე სამეცნიერო შრომა ველის კვანტურ თეორიასა და ელემენტარული ნაწილაკების თეორიაში.

1991 წლიდან 1992 წლის ივნისამდე იყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, იყო სახელმწიფო საბჭოს წევრი, 1992 – 1995 წლებში – პარლამენტის ფრაქცია "რესპუბლიკელების" თავმჯდომარე და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. 1996 – 1999 წლებში სხვადასხვა დროს მუშაობდა სააქციო საზოგადოების გენერალურ დირექტორად, საწარმოს იურისტად. 1999 წლიდან პარლამენტის წევრია, არის საქართველოსა და ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის თანათავმჯდომარე.

ვახტანგ ხმალაძეს მიაჩნდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების ყველაზე ეფექტიანი საშუალება დემოკრატიული, თავისუფალი არჩევნების გამართვა იყო. ამ მიზნით 1989 წელს თანამოაზრეებთან ერთად დააფუძნა ორგანიზაცია "დასი" და იყო მისი თავმჯდომარის მოადგილე. 2002 წელს რევაზ შავიშვილთან და სხვა თანამოაზრეებთან ერთად დააფუძნა საქართველოს ლიბერალური პარტია და არის მისი თავმჯდომარის მოადგილე.

1989 წლიდან დღემდე ვახტანგ ხმალაძის ავტორობითა და თანაავტორობით მომზადდა მრავალი კანონპროექტი, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ჯერ კიდევ საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების პროექტი, კანონპროექტი პირველი მრავალპარტიული არჩევნების შესახებ, საქართველოს კონსტიტუციის პროექტი, რომლის მრავალი დებულებაც შევიდა 1995 წლის საქართველოს კონსტიტუციაში, აგრეთვე კანონპროექტები პოლიტიკური პარტიების, პარლამენტისა და საკრებულოთა არჩევნების, სახელმწიფო ხელისუფლების, მინისტრთა კაბინეტის, საკონსტიტუციო სასამართლოსა და ნორმატიული აქტების შესახებ. იგი ავტორია კოლექტიური მონოგრაფიებისა "როგორ იქმნება კანონი" და "საქართველოს კონსტიტუციური სამართალი".



ვახტანგ ხმალაძეს ჰყავს მეუღლე მანანა მაჩხანელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი და ქალ-ვაჟი – ნინო და ირაკლი.

განახლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი მემარჯვენეები



*ვახტანგ ხმალაძე და "ახალი მემარჯვენეები" თქვენი თანადგომით შეძლებენ კრიზისიდან ქვეყნის გამოყვანას, მათ იციან, როგორ შეუწყონ ხელი ეკონომიკის განვითარებას და როგორ დაასაქმონ ხალხი, იციან, როგორ უნდა შეიცვალოს სახელმწიფოს მმართველობის სტრუქტურა და როგორ ებრძოლონ კორუფციას.*

**ვახტანგ ხმალაძე, პარლამენტის წევრად არჩევის შემთხვევაში, თავის თანაგუნდელებთან ერთად:**

- ღირსეულად დაიცავს მისი ამომრჩევლებისა და სრულიად საქართველოს მოქალაქეთა ინტერესებს
- იბრძოლებს იმ პირობათა შესაქმნელად, რომლებიც უზრუნველყოფენ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებას, ყოველი მოქალაქის ღირსეულ ცხოვრებას
- იბრძოლებს სამართლიანი კანონების მისაღებად, კანონის უზენაესობისა და კანონის წინაშე თანასწორობის დასამკვიდრებლად
- იზრუნებს თქვენი, თბილისის ისტორიული უბნების მცხოვრებთა, პრობლემების გადაჭრისთვის, უპირველეს ყოვლისა კი მიწისძვრის შედეგების აღმოფხვრისთვის, იმისათვის, რომ ამ უბნებს შეუნარჩუნდეს არა მხოლოდ ისტორიული სახე, არამედ გადარჩეს მათში დაბუდებული სული, რისი მიღწევაც მხოლოდ მათი ძირძველი მოსახლეობის შენარჩუნებით გახდება შესაძლებელი. ამ მიზნით პარლამენტში შეიტანს სათანადო კანონპროექტებს და იბრძოლებს იმისათვის, რომ გადასახადებისაგან განთავისუფლდეს ყველა ის სამუშაო, რომელიც შესრულდება სტიქიით დაზარალებული უბნების აღსადგენად, რომ სახელმწიფოს მიერ გამოიყოს თანხები სათანადო პროექტების მოსამზადებლად, რომ სამუშაოს შემსრულებლები შეირჩეს საკონკურსო კომისიების მიერ, რომლებშიც იქნებიან მოსახლეობის წარმომადგენლებიც. ყოველივე ეს მინიმუმამდე დაიყვანს კორუფციულ გარიგებებს, მკვეთრად გააიაფებს აღდგენით სამუშაოებს, დააინტერესებს ინვესტორებს და სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ თანხებთან ერთად შესაძლებელი გახდება შედარებით სწრაფად გადაიჭრას პრობლემა.

**აღმშენებლობის, დასაქმების 900 დღე არის „ახალი მემარჯვენეების“ სამოქმედო პლატფორმა, რომლის განხორციელების შემთხვევაში ისინი უზრუნველყოფენ:**

- საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში გარდატეხის შეტანას
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებას
- უმუშევრობის და სიღატაკის დაძლევას
- მოსახლეობის, განსაკუთრებით უმწეოთა სოციალური დაცვის სწორი და გამართული სისტემის შემუშავებას, რომელთაგან უმთავრესი იქნება სოციალური გადასახადის 27%-დან 15%-მდე შემცირება, მოქალაქეთა მიერ განათლებასა და ჯანდაცვაში გადახდილი თანხების საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება, თითოეულ ბავშვზე ოჯახისთვის საშემოსავლო გადასახადზე წელიწადში 200 ლარამდე შეღავათის დაწესება
- კეთილსინდისიერი გადამხდელისათვის კონტრაქტის საფუძველზე ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის უწყვეტ მიწოდებას
- კორუფციის დამარცხებას და ხელისუფლების ძირეულ რეფორმას, კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცებას, სახელმწიფო და კრიმინალური რეკეტის მოსპობას, მაკონტროლებელი ორგანოების მაქსიმალურ შეზღუდვას.



კეთილდღეობა საზოგადოებასთან ერთად და არა საზოგადოების ხარჯზე

900 დღე

აღმშენებლობის დასაქმების

www.axlebi.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თქვენი მხარდაჭერით ახალი მემარჯვენეები განახორციელებენ განახლების, აღმშენებლობის, დასაქმების 900-დღიან პროგრამას, რის შედეგადაც

PX 437/2

- ხელისუფლებაში მოვა გამოცდილი, პატიოსანი და პროფესიონალი ადამიანების გუნდი, რომელიც დაიცავს ჩვენს უფლებებს და დაამკვიდრებს კანონის უზენაესობას
- საგადასახადო კანონმდებლობის ლიბერალიზაციის და ხელისუფლების ყველა ეშელონში კორუფციის მოსპობის გზით გაიზრდება შემოსავლები ბიუჯეტში
- დაცული იქნება თითოეული ჩვენგანის საკუთრება და ღირსება

n 182/1543

**ახალი მემარჯვენეები არის ერთადერთი ძალა, აღმშენებლობის, გამოცდილების მქონე ლიდერთა გუნდი, რომელიც მოგვცემს შანსს, დავიწყოთ ახალი ცხოვრება, დავიცვათ და გავაძლიეროთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ოჯახები, შევინარჩუნოთ ეროვნული თვითმყოფადობა**

**2 ნოემბერს**
**თქვენი მხარდაჭერით დაიწყება**

განახლების
აღმშენებლობის
დასაქმების
**900 დღე**

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოგვაკითხონ ვახტანგ ხმალაძის საარჩევნო შტაბში:

მისამართი:
ვერა – ნიკოლაძის ქ. № 6 ტელ. 29 12 5
მთაწმინდა – რუსთაველის გამზ. №26 ტელ. 99 09 72
სოლოლაკი – ივანე მაჩაბლის ქ. № 8 ტელ. 92 25 03

დამკვეთი: საარჩევნო ბლოკი "ახალი მემარჯვენეები (ახლები)"
მისამართი: თბილისი, ბევრეთის 3
შემსრულებელი: შ.პ.ს. "იმედი"
მისამართი: ჭყონდიდელის ქ. №26
ტირაჟი: 2500ცალი
გამოშვების თარიღი: 12.10.2003